# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება GEORGIAN DREAM



## ძვირფასო ონელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების" პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს" – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ონის მერობის კანდიდატისა და ონის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ონის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ონი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების" პოლიტიკური საბჭო***

# ონის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ონის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წელს ონის ბიუჯეტის ხარჯები 4,3 მლნ ლარი იყო, 2021 წლის გეგმით – 18 მლნ ლარს შეადგენს. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 225 ათასი ლარი მიიღო, 2021 წლის გეგმით საპროგნოზო მაჩვენებელი 5 მლნ ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ონის მუნიციპალიტეტში,** 2018-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“** მხარდაჭერილია 1 პროექტი (ინვესტიცია 28 081 ლარი, თანამონაწილეობა 11 232 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 3,9 ჰექტარზე განხორციელდა 13 პროექტი (ჯამურად 89 954 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, 3 ჰექტარი დაიზღვა (მოსავლის ღირებულება 20 856 ლარი), რითაც 16-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით მოქმედებს 30 კოოპერატივი (237 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 379 862 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 2 161 515 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 630 274 ლარი), რითაც 9 უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** დაფინანსდა 1 პროექტი (ინვესტიცია 4 500 ლარი, თანადაფინანსება 1 800 ლარი). 2020 წლიდან დაიწყო **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა,** რითაც 1 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ინვესტიცია 240 000 ლარი, თანადაფინანსება 125 678 ლარი).




2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას..

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ონის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 საწარმო (ჯამურად 166 700 ლარი, დასაქმებულია 7 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 624 974 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 802 514 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 120 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 40, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 80 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.**

2013-2021 წლებში, **რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში აშენდა** 4 ჰიდროელექტროსადგური (რაჭაჰესი, კასლეთიჰესი2, ხეორიჰესი, ჯონოულიჰესი 1), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 21,5 მგვტ-ია.

**მშენებლობის ან ლიცენზირების ეტაპზეა 12 ჰიდროელექტროსადგური:**

- რაჩხა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 3,3 მგვტ, 13,6 მლნ აშშ დოლარი;
- ბერბალი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 0,9 მგვტ, 1 მლნ აშშ დოლარი;
- ლუხუნი ჰესი 2 – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, 23 მლნ აშშ დოლარი;
- ქიორა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 14,1 მგვტ, 14 მლნ აშშ დოლარი;
- მაჟიეთი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 12,2 მგვტ, 13,6 მლნ აშშ დოლარი;
- ღები ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 14,3 მგვტ, 14,3 მლნ აშშ დოლარი;
- ღერე ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 9,4 მგვტ, 12,9 მლნ აშშ დოლარი;
- საკაურა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 11,5 მგვტ, 17 მლნ აშშ დოლარი;
- ლასკადურა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 11,5 მგვტ, 17 მლნ აშშ დოლარი;
- ბოყო ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0,5 მგვტ, 1,5 მლნ აშშ დოლარი;
- სადშელი ჰესი 2 – დადგმ. სიმძლავრე 4,4 მგვტ, 6 მლნ აშშ დოლარი;
- ჩორდულა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,97 მგვტ, 3,54 მლნ აშშ დოლარი.

**ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები:**

- სორგითი ჰესი 1 – დადგმ. სიმძლავრე 15,2 მგვტ, 21,07 მლნ აშშ დოლარი;
- სორგითი ჰესი 2 – დადგმ.სიმძლავრე 16 მგვტ, 18,781 მლნ აშშ დოლარი;
- ჯონოული 2 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 32 მგვტ, 50 მლნ აშშ დოლარი;
- ქვედი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,7 მგვტ, 1,3 მლნ აშშ დოლარი;
- ლაჯანური ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 16 მგვტ, 26 მლნ აშშ დოლარი;
- ღარულა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,5 მგვტ, 3,7 მლნ აშშ დოლარი;
- ალპანა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 55,3 მგვტ, 70 მლნ აშშ დოლარი;
- ძუღური ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 3,1 მლნ აშშ დოლარი;
- ნოწარული ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 8,38 მგვტ, 9,9 მლნ აშშ დოლარი;
- დუსკური ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1 მლნ აშშ დოლარი.

ონის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 3 439 აბონენტი. 2013-2017 წლებში, 2 717 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

### ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განვითარების მიზნით,** მუნიციპალიტეტში განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. 2013-2021 წ.წ. ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ ტუ-

რისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისათვის.

**მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ობიექტების რეაბილიილაციის მიზნით, განხორციელდა შემდეგი პროექტები:** ონის კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია (27 ათასი ლარი); ონის სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონის რეაბილიტაცია (16 ათასი ლარი); ონის კულტურისა და დასვენების პარკში არსებული მინისტადიონის რეაბილიტაცია (12,6 ათასი ლარი); ონის ბერშევას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში სპორტკომპლექსის რეაბილიტაცია (740 ათასი ლარი).

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური ამაღლების მიზნით ონში დაგეგმილია ან უკვე მიმდინარეობს დაახლოებით 5 მლნ ლარამდე ღირებულების პროექტების განხორციელება: ქ. ონში საზოგადოებრივი სივრცეების (სკვერები, ქუჩები, საფეხმავლო ბილიკები, დასასვენებელი ზონები და სხვა) კეთილმოწყობა (2 300 000 ლ); მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და საკურორტო ზონებში არსებული მინერალური წყლების რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (500 000 ლ); ქ. ონში რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშენებლობა (4 500 000 ლ); სოფ. ღების ისტორიული უბნის აღდგენა/რეაბილიტაცია (2 000 000 ლ); ონში, ბერშევას სახელობის პარკის კეთილმოწყობა (2 500 000 ლ); ონის კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა; ონის მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობა; სოფელ ღებიდან სვანეთში გადასასვლელი საავტომობილო გზის აღდგენა-რეაბილიტაცია.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია. ონის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია რაჭის დაცული ტერიტორიების დაარსება, დაახლოებით 52 000 ჰექტარზე.

2020 წელს, მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** მზადდება ტყის მართვის გეგმა. 2013-2020 წლებში, ადგილობრივ მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 72 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, ონის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ონში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 12 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა, აშენდა 4 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 7 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 21,5 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში ონის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 5 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 1 453 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, ონის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 4 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. 2020 წელს დასრულდა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ ქ. ონში, „ჟიჟორეთის“ სათავე-ნაგებობიდან მომავალი მაგისტრალური წყალსადენის 150-მეტრიანი მონაკვეთის ნაპირსამაგრი კონსტრუქციების საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა (195 406.00 ლ), მიმდინარეობს ამავე პროექტის 350-მეტრიანი მონაკვეთის ნაპირსამაგრი კონსტრუქციების სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად საჭირო მომსახურებისა და შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები (582 752.00 ლ).

### 2021-2022 წლებისთვის, ონის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ. ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა (III ეტაპი) – 1 494 000 ლ;
- ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული არხების მოწყობა/რეაბილიტაცია – 160 001 ლ;
- სოფ. შარდომეთში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარით) (სახელმწიფო გზიდან შ-16 სოფელ შარდომეთამდე შ.პ.ს.„ბლაუშტაინი საქართველოს“ ფერმამდე) – 762 110 ლ;
- ქ. ონში ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები – 699 900 ლ;
- ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობის სამუშაოები (III ეტაპის გაგრძელება) – 445 000 ლ;
- ქ. ონის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების სარეაბილიტაციო სამუშაოები (კახაბერის ქუჩა II ეტაპი) – 453 863 ლ;
- სოფ. ხირხონისში ქვედა უბნის გზის სანიაღვრე სისტემის მოწყობა/რეაბილიტაცია – 93 683 ლ;
- სოფ. ღებში მდ. ჯოჯოშურას კალაპოტის წმენდა-ფორმირება, მდ. რიონის კალაპოტის წმენდა-ფორმირება და ნაპირსამაგრის აღდგენა-რეაბილიტაცია ლოდნარითა და რკინა ბეტონით (პირველი ეტაპი) – 1 124 389 ლ;
- სოფ. ლაგვანთა, საკაო, მაჟიეთსა და ხიდეშლებში, 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები – 795 591 ლ;
- სოფ. ჯოის უბანში, შარდომეთში, სევაში, ახალ ჩორდში, ფარახეთში, ზვარეთში, სორში და ბარში, 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები – 1 660 000 ლ;
- ონის მუნიციპალიტეტში მომხდარი 2020 წლის 28-29 ივლისის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები – 2 350 000 ლ;
- ონის მუნიციპალიტეტში მომხდარი 2020 წლის 28-29 ივლისის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები – 550 000 ლ;
- ქ. ონის ტერიტორიაზე, 2020 წლის 28-29 ივლის მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები – 176 283 ლ;
- სოფ. უწერაში, ფარავნეშში, ნიგავზებში, ნაკიეთსა და ღარში, 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები – 1 670 000 ლ;
- სოფ. წედისში, ქვედში, ქვედრულაზე, ჟაშქვაში, პიპილეთში, გომში, ჯინჭვისსა და სორგითში 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები – 630 000 ლ;
- სოფ: გონაში, პატარა ღებში, დიდ ღებში, გლოლასა და ჭიორაში 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები – 2 205 000 ლ;
- კედლის მოხატვა, დეკორატიული პავილიონის მოწყობა, ტურისტული აბრების, ბილიკების, ასევე ხიდზე დეკორატიული განათებისა და საყვავილის მოწყობა – 32 136 ლ;
- სოფ. ბაჯიხევში მეწყერისგან დაზიანებული მისასვლელი ალტერნატიული გზის მოწყობა – 12 201 ლ;
- სოფ. უწერაში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და სოფლის შიდაგზების მოასფალტება – 1 500 000 ლ;
- ქ. ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა (ბააზოვის, რუსთაველის და კახაბერის ქუჩები) (III ეტაპის გაგრძელება) – 442,412 ლ.



ონი-საჩხერის გზა

# სერგო ხიდეშელი: „ონის მერობა ჩემთვის შესაძლებლობაა, წვლილი შევიტანო მუნიციპალიტეტის განვითარებაში“

**სერგო ხიდეშელი „ფესვებთან დაბრუნების“ მაგალითია. რამდენიმე თვის წინ გადაწყვეტილება მიიღო, პოლიტიკურად გააქტიურდა და ონის მერის მოადგილის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.**

**მანამდე, წლების განმავლობაში სამართალდამცავ უწყებაში სხვადასხვა პოზიციაზე იყო. სამსახურებრივ მოვალეობას ყოველთვის წარმატებით ასრულებდა და სწორედ ამის გამო, თავის დროზე, შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მადლობის სიგელიც აქვს მიღებული.**

**გარკვეული პერიოდი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურშიც იმუშავა. ცხოვრების ამ ეტაპით და იმით, რომ ქვეყნის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე ზრუნავდა, განსაკუთრებით ამაყობს.**

**ამჯერად, მშობლიური მუნიციპალიტეტის, ონის მერობა გადაწყვიტა. „ქართული ოცნების“ კანდიდატი გამარჯვებაში დარწმუნებულია და ამბობს, რომ ონის მერობა მისთვის არის შესაძლებლობა, დადგეს ონის მუნიციპალიტეტის თითოეული მაცხოვრებლის გვერდით, უპასუხოს მათ თითოეულ გამოწვევას და მათთან, ასევე გუნდთან ერთად, წვლილი შეიტანოს ონის განვითარებაში.**



დაიბადა 1986 წლის 10 აგვისტოს, თბილისში. 1992-2002 წლებში სწავლობდა ჯერ თბილისის №1 კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ კი დავით აღმაშენებლის სახელობის №18 სკოლა-ლიცეუმში. 2002-2003 წლებში სწავლობდა სახელმწიფო უშიშროების აკადემიაში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, 2003-2006 წლებში – საქართველოს ხარისხის მართვის უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე.

2007-2009 წლებში მსახურობდა შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის მთავარი სამმართველოს ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს რუსთავის განყოფილების საბრძოლო „ა“ ქვეგანყოფილებაში – მებრძოლის პოზიციაზე; 2009-2011 წლებში იყო შსს სპეციალური ოპერაციების ცენტრის, ობიექტების დაცვის სამმართველოს II განყოფილების I ქვეგანყოფილების თანამშრომელი; 2011-2012 წლებში – შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თბილისის ტერიტორიული მთავარი სამმართველოს II სამმართველოს I სამსახურის (მთაწმინდა-კრწანისი) თანამშრომელი; 2012-2021 წლებში მუშაობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

**– ბატონო სერგო, ონში თქვენი ოჯახი რით არის ცნობილი და მუნიციპალიტეტთან პირადად თქვენ რა ემოციური კავშირი გაქვთ?**

– მამა, შალვა ხიდეშელი, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდეშლებში დაბადებულ-გაზრდილია. პროფესიით ფილოლოგი და ფსიქოლოგი გახლდათ და წლების განმავლობაში, ონში სკოლის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა. მამა არაერთი ნაშრომის ავტორია სამკურნალო და ფსიქოლოგიის მიმართულებით. დედა, ეთერ ხიდეშელი პროფესიით კოსმეტოლოგია. მრავალი წლის განმავლობაში სოფელ ხიდეშლებში სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა. მე და ჩემს დას, მაგდა ხიდეშელს, ბავშვობის უდიდესი ნაწილი სოფელ ხიდეშლებში გვაქვს გატარებული. მაგდა პროფესიით ტურიზმის მენეჯერი გახლავთ, დაოჯახებულია და ერთი შვილი ჰყავს. მასთან ერთად ხშირად ვიხსენებ, ბავშვობის წლებს. ხიდეშლებთან უდიდესი სიყვარული და არაერთი ტკბილი მოგონება მაკავშირებს. ზოგადად, ამ სოფელს ეს ახასიათებს – მისი სიყვარული იმ ადამიანსაც კი მთელი ცხოვრება მიყვება, ვინც აქ მხოლოდ ერთხელ არის ნამყოფი. ძალიან აქტიური, ინტერესიანი და მშრომელი ბავშვი ვიყავი. ხშირად ვიხსენებ, მამამ როგორ მასწავლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. მათ შორის ფუტკრის მოლა. მეფუტკრეობით დღესაც დაკავებული ვარ. ამ საქმეს დღემდე სიამოვნებით ვაკეთებ და მეტიც, შეიძლება ითქვას, ეს ერთგვარად ჩემი ჰობია. ჩემს აღზრდაში და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი სწორედ მამამ ითამაშა. მან მასწავლა ჩემი კუთხის სიყვარული და დაფასება. მამა დღემდე მისაბაძი მაგალითია ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, რადგან იყო უაღრესად კეთილშობილი, ერთგული და ჭეშმარიტად პატრიოტი.

**– მამას ასეთი გავლენა თუ ჰქონდა, საინტერესოა, პროფესიის არჩევაშიც ხომ არ დაგეხმარათ?**

– არა, პროფესია დამოუკიდებლად ავირჩიე. არჩევანის თავისუფლება ყოველთვის მქონდა. იურისტის პროფესია ჩემთვის სამართლიანობასთან ასოცირდებოდა. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ამაში ვრწმუნდებოდი ყველა სამსახურში მოვალეობის შესრულებისას. სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული, მაგისტრალური მილსადენების დაცვის დეპარტამენტის რუსთავის რეგიონულ სამსახურში დავიწყე. მებრძოლის პოზიცია მეკავა. ურთულეს პირობებში მიწევდა მუშაობა. ამ სამსახურში 2007-2009 წლებში ვიყავი და მიზერული ხელფასი მქონდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ პირნათლად ვასრულებდით ჩვენს მოვალეობას. ვფიქრობ, კარიერის განმავლობაში, ყველა თანამდებობა, რომელიც მეკავა, იყო საპასუხისმგებლო, როგორც გადაწყვეტილებების მიღებით, ასევე შესრულებით. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ისაა, რომ 2013 წელს მიღებული მაქვს მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მადლობის სიგელი სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და მიღწეული წარმატებისთვის.

**– განსაკუთრებით საპასუხისმგებლო, უსაფრთხოების სამსახურში მუშაობა იყო?**

– რა თქმა უნდა. ძალიან მეამაყება, რომ წლების განმავლობაში ვმუშაობდი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში. ბოლოს, ამ სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის მოვალეობას ვასრულებდი. მეამაყება, რომ საკუთარი წვლილი შევიტანე ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დაცვაში. მიმდინარე წლის ივნისიდან კი, პოლიტიკურად გავაქტიურდი და ონში, მერის პირველი მოადგილეს თანამდებობაზე გადმოვედი.

**– საინტერესოა, რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება და რატომ ხართ „ქართული ოცნების“ წევრი?**

– მთავარი მიზეზი, რის გამოც გადაწყვეტილება მივიღე და „ქართული ოცნების“ წევრი ვარ არის ამ გუნდის ხედვები, ფასეულობები და დამოკიდებულება ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის მიმართ. „ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი პრიორიტეტი ადამიანი, მისი უფლებების დაცვა და თავისუფლებაა, რასაც მეც მთელი ცხოვრება ვემსახურებოდი. ჩემი აზრით, გუნდმაც სწორედ იმიტომ გამომიცხადა ნდობა და ონის მერობის კანდიდატად დამასახელა, რომ ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების ხედვები ემთხვევა. ასევე, ჩემთვის ძა-



შუაში მამაჩემი შალვა ხიდეშელი. მარცხნივ გია ხიდეშელი და მარჯვნივ დავით ხიდეშელი (სერგო ხიდეშელის ბიძაშვილები)

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ლიან მნიშვნელოვანია ის, რომ მმართველი გუნდისთვის პრიორიტეტია რეგიონული განვითარება. დღეს ხელისუფლება რეგიონების განვითარებისთვის, სხვადასხვა მუნიციპალიტეტსა თუ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისთვის ყველაფერს აკეთებს. ამაში მაშინაც დავრწმუნდი, როცა მერის პირველი მოადგილე გავხდი. თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან უშუალოდ ჩავერთე იმ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, რომლებიც ონში სწორედ „ქართული ოცნების“ პირობებში დაიწყო. პარალელურად, ვეცნობი ყველა იმ საკითხს, რომელიც აწუხებს ქალაქსა თუ სოფლებში მცხოვრებ ადამიანებს. სამომავლოდ, ყველა პრიორიტეტს სწორედ მათთან ერთად, მათი საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე დავსახავ.

**– განხორციელებული პროექტებიდან, თქვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რომელია?**

– ონის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, დაიწყო ან დაიგეგმა. აღსანიშნავია მთავრობის ხელშეწყობით მიმდინარე პროექტი, საჩხერე-ონის გზის მშენებლობა, რომელიც უახლოეს მომავალში დასრულდება და ონს ახალ სიცოცხლეს შესძენს.

**– რადგან ბოლო თვეებში მერის მოადგილე იყავით, გეცოდინებათ, რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს ონის მოსახლეობა?**

– ონის მუნიციპალიტეტი რთული გამოწვევების წინაშე დგას. ვგულისხმობ ყოფით პრობლემებს. მათი მოგვარებისთვის ხელისუფლება უმნიშვნელოვანეს ნაბიჯებს დგამს. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა დემოგრაფიული პრობლემები და ის, რომ სოფლები დაცლილია. გული მწყდება, რომ ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტიდან წასვლის სურვილი უჩნდებათ. ვფიქრობ, მე პირადად ვარ ახალგაზრდებისთვის მუნიციპალიტეტში დაბრუნების მაგალითი. რეგიონს ესაჭიროება გამართული ინფრასტრუქტურა და მეტი სამუშაო ადგილი. ინფრასტრუქტურის მიმართულებით არაერთი პროექტი განხორციელდა ან დაგეგმილია. სამუშაო ადგილები კი, მცირე მეწარმეობის განვითარებით უნდა შეიქმნას. სახელმწიფო მცირე მეწარმეებს მაქსიმალურად უწყობს ხელს. მათთვის არაერთი საშეღავათო პროგრამა არსებობს. გვაქვს მოქნილი საგადასახადო სისტემა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეღავათებია მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებში. ვფიქრობ, მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდებისა და დაინტერესების შედეგად, უფროდაუფრო მეტი ადამიანი დაინტერესდება მუნიციპალიტეტში სამეწარმეო საქმიანობით. ბიზნესპროექტების განხორციელება აუცილებელია სამუშაო ადგილების შექმნისთვის.

**– განვითარების რა პერსპექტივა აქვს ონს და თქვენ რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით, ონელებს რას ჰპირდებით?**

– ონს აქვს განვითარების პერსპექტივა როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე ტურისტული მიმართულებით. ონის მოსახლეობას ვპირდები, რომ

ჩემი მერობის პერიოდში მოხდება რეგიონის მაცხოვრებლების სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერა, ინფრასტრუქტურული საკითხების მაქსიმალურად დროულად და ხარისხიანად გადაჭრა. ჩემი პრიორიტეტია ონის მუნიციპალიტეტის ძლიერი თვითმმართველობა და ყველაფერს გავაკეთებ რეგიონისა და თითოეული ოჯახის გაძლიერებისთვის.

**– ბატონო სერგო, შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, როგორ არჩევნებს ელოდებით ონში და თქვენი აზრით, რა უპირატესობა გაქვთ კონკურენტებთან შედარებით?**

– ველოდები, რომ არჩევნები ჩაივლის კონკურენტულ და სამართლიან გარემოში. ვიცი, რომ ამომრჩევლის უმრავლესობა მხარს დამიჭერს. ჩემი უპირატესობა არის მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა. ასევე ის, რომ ვიცი როგორ უნდა ვუპასუხოთ გამოწვევებს. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რამდენიმე თვეა მერის მოადგილის თანამდებობაზე ვარ, მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ უკვე გამიცნო. მათთან ერთად უკვე შევძელი არაერთი საკითხის მოგვარება. დაინახეს, რომ საქმის კეთება და თავდაუზოგავი შრომა შემიძლია. ამიტომ, მათ მხარდაჭერას ველოდები. ონის მერობა ჩემთვის შესაძლებლობაა, დავდგე ონის მუნიციპალიტეტის თითოეული მაცხოვრებლის გვერდით, ვუპასუხო მათ თითოეულ გამოწვევას და მათთან, ასევე გუნდთან ერთად, წვლილი შევიტანო ჩემი ონის განვითარებაში.





## სერგო ხიდეშელის მთავარი დასაყრდენი

ერთმანეთი 2015 წელს გაიცნეს. სერგო ხიდეშელს სულ რაღაც ერთი წელი დასჭირდა, ნინო ქიკაიძის გული მოენადირებინა და ცოლობაზეც დაეყოლიებინა. 1 წელში იქორწინეს და კიდევ 1 წელში ვაჟიც შეეძინათ.

კონსტანტინე ხიდეშელი ჭკვიანი, ზომიერად ცელქი და ლაღი ბავშვია. ყველაზე მეტად ძალიან სხვადასხვა ადგილის მონახულება და ბუნებაში სეირნობა მოსწონს. ამით კანდიდატ მამას დაემსგავსა, რომელიც ავტომანქანებით გადატვირთულ ქალაქშიც კი ყოველთვის ახერხებდა ფეხით გაესეირნა, მწვანე სივრცე ეპოვა და კონსტანტინესთან ერთად დრო გაეტარებინა. შვილთან ურთიერთობა მისთვის დიდი სიამოვნება და „ყველაზე მთავარი საქმეა“. ამიტომ, როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავს, გული სახლისკენ მიუწევს. ხშირად დილაობით ერთად სეირნობენ. ასეთ დროს დროის დინებას ვეღარ გრძნობენ და შეიძლება სეირნობამ საღამომდეც გასტანოს. ცოლ-ქმრის მთელი ყურადღება და ენერგია კონსტანტინეს აღზრდაზეა გადართული. მას მაქსიმალური პირობები უნდა შეუქმნან, რომ ისწავლოს და განვითარდეს. „ფარული ნიჭის“ აღმოჩენაშიც უნდა დაეხმარონ. კონსტანტინე ჯერ პატარაა და არავინ იცის, რა პროფესიას აირჩევს. შეიძლება მამასავით სამართალდამცავი გამოვიდეს და ქვეყნის სამსახურში ჩადგეს. შეიძლება საკუთარ თავში მოცეკვავე აღმოაჩინოს და ესეც მამის „გენეტიკური მემკვიდრეობა“ იქნება – ბატონი სერგო 7 წელი ცეკვავდა ქართულს და თანაც, საკმაოდ წარმატებულად. შეიძლება სულ სხვა პროფესია აირჩიოს კონსტანტინემ. არჩევანში ისევე თავისუფალი იქნება, როგორც თავის დროზე მამა იყო. თუმცა, რა პროფესიასაც უნდა დაეუფლოს, მშობლებისთვის ერთი რამაა მთავარი – კაცთმოყვარე, კეთილი, განათლებული ბიჭი დადგეს და ონისთვის ისე უძგერდეს გული, როგორც მამას.

სხვათაშორის, ონის ასეთი უზომო სიყვარული იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სერგო ხიდეშელს მეუღლემ მერობისთვის ბრძოლის გადაწყვეტილება მოუწონა. კიდევ ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ მისი შესაძლებლობები იცის. ქალბატონი ნინო კანდიდატს მაქსიმალურად უჭერს მხარს და მისი მთავარი გულშემატკივარია. სწორედ ამიტომ ამბობს სერგო ხიდეშელი, რომ მეუღლე და ოჯახი, მისი მთავარი დასაყრდენია.



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით **ონის მუნიციპალიტეტზე** გამოიყო 10 654 820 ლარი, დაფინანსდა 15 559 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (280 084,2 ლარით 24 324 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბოლატორიული** (640 673 ლარით 8 160-ზე მეტი შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (6 833 848 ლარით 4 235 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (1 834 649 ლარით 1 619 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (289 161 ლარით 496 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (510 252 ლარით 855 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით **ონის მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 2 461 ბენეფიციარი (122 612 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. ონის მუნიციპალიტეტში იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 2020 წელს 100 % იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ონში** სტაციონარული მკურნალობით 29-მა (75 902 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 305-მა პაციენტმა (28 197 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **ონის მუნიციპალიტეტში,** ანტენატალური სერვისი მიიღო 730-მა ორსულმა (39 039 ლარი), მედიკამენტები – 145-მა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ონის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 189 პირი, დაიხარჯა – 42 149 ლარი.**

2012 წლის შემდეგ, **ონის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ონში**, 2013-2021 წლებში, სულ 233 შემთხვევა 210 133 ლარით დაფინანსდა.

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ონის მუნიციპალიტეტს 35 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, ონის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ახალი **ამბულატორიების მშენებლობა** სოფლებში – ღები (20 000 ლ), ლაგვანთა (41 493 ლ), ღარი (41 229 ლ), ხირხონისი (44 935 ლ), ნიგვზნარა (40 842 ლ). სოფელ უწერაში არსებული ამბულატორიის **რეაბილიტაცია** (28 993 ლ), ქ. ონში სს(ი)პ საგანგებო სიტუაციების, კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ახალი შენობის **(ემერჯენსი) მშენებლობა** – 323 370 ლარი. **დაგეგმილია** ახალი ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში: გლოლა, სევა, ზუდალი, ირი, წედისი, ცხმორი.

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 33,3 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 24,2 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციის, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა ღონისძიებები.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.
- 2021 წლიდან იგეგმება სამედიცინო მომსახურების პროგრამით ქირურგიული მომსახურების განხორციელება სარეიტინგო ქულის გარეშე.



# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ონის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომ.) 1922 პირია. 2012 წლის შემდეგ, 1,8-ჯერ, 2 899 525 ლარიდან 5 358 603 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, ასაკით პენსიონერთა საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 36 505 837 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ონში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 წ. მდგომ.) 27 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 2,8-ჯერ – 33 106-დან 55 974 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 1 235 123 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ონის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1404 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 1,8-ჯერ, 1 140 ათასიდან 2010 ათას ლარამდე გაიზარდა **საარსებო შემწეობებზე** გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 15 283 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 7 342 ათასი, შშმ პირებზე – 1 249 ათასი, ბავშვებზე – 2 761 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – ონში, სოციალური პაკეტით სარგებლობს 249 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5-ჯერ – 86 042-დან 427 508 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 3 008 920 ლარი.



**ონის მუნიციპალიტეტში 68 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.),. 2012 წლის შემდეგ 31 668 ლარიდან 41 625 ლარამდე გაიზარდა დევნილთა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ გაცემულია 361 093 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ონის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 14 ოჯახი, მათ შორის: 8 ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი" სახელმწიფომ სახლი 5 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი, მასში მცხოვრებ 7 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ონში დაფინანსებულია 56 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 537 100 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 100 300 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ონის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილია – 444 180 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, ონის მუნიციპალიტეტში, ჩართული იყო 254 ოჯახი, 2021 წელს (ივნისის მდგომარეობით) – 262. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, ონში, 2020 წელს, ისარგებლა 85 ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 81-მა.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

2013 წელთან შედარებით, 2-ჯერ გაიზარდა **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 176,4 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 86,3 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება მნიშვნელოვანი პროგრამები.** მათ შორის: ავადმყოფთა სოციალური დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა, ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები;
- **მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება დამატებითი პროგრამები/ქვეპროგრამები:** გაიცემა ერთჯერადი დახმარება მრავალშვილიანი ოჯახებისთვის – 18 წლამდე ასაკის სამ შვილზე – 200 ლარი, ოთხ შვილზე – 200 ლარი, ხუთ შვილზე – 250 ლარი, ექვს შვილზე – 350 ლარი; არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფინანსური დახმარება გაეწევათ საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურებაზე 600 ლარის ოდენობით; 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ფინანსური დახმარება გაეწევათ საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურებაზე 600 ლარის ოდენობით.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.




2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** ონის მუნიციპალიტეტში 5 მუნიციპალური ბაგა-ბაღია (ქ. ონში და სოფლებში – გლოლა, ეწერი, ღები და პიპილეთი).

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ონში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება.** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 795,2 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 235,7 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 102,6 ათასი ლარი იყო.

**ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გადამზადებული აღმზრდელ-პედაგოგი.** 2017 წლიდან დღემდე, არაერთი პროფესიული განვითარების ხელშემწყობი აქტივობა განხორციელდა. მათ შორის: 2018 წელს, სპეციალისტმა სააღმზრდელო დარგში, გაიარა **„აღმზრდელ-პედაგოგთა ტრენინგ-მოდული“** (თემა – „ბაგა-ბაღში ინკლუზიური განათლება“, აღსაზრდელთა საჭიროებებისა და სათანადო მიდგომების მეთოდები). **2019 წელს**: ონის ბაგა-ბაღის დირექტორმა, სპეციალისტმა სააღმზრდელო დარგში, სპეცპედაგოგმა და მეორე ცვლის აღმზრდელებმა, გაიარეს ტრენინგი თემაზე: **„სკოლამდელი ინკლუზიური განათლება“** (ტრენინგის მოდულები: ინკლუზიური განათლება სკოლამდელ ასაკში. განვითარების ნორმები, დარღვევები, ქცევის მართვის სტრატეგიები, ფსიქოემოციური დარღვევები, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები); ფსიქოლოგმა, ექთანმა, 11-მა აღმზრდელმა, ხუთმა აღმზრდელის თანაშემწემ, ორმა ძიძამ და სამმა მშობელმა გაიარეს ტრენინგი თემაზე: **„სკოლამდელი ინკლუზიური განათლება“.** მუნიციპალიტეტის შშმ და სსსმ ბავშვებთან და ახალგაზრდებთან შემხებლობაში მყოფ აღმზრდელებსა და პედაგოგებს სამ ეტაპად ჩაუტარდათ ტრენინგები ხელოვნებით თერაპიაში (არტთერაპია); გადამზადდა 11 ქალბატონი, ტრენინგების კურსში ჩართულნი იყვნენ ახალგაზრდა შშმ პირები. **მუნიციპალიტეტში იგეგმება თერაპიის კაბინეტის გახსნა, რომელიც სფეროთი დაინტერესებულ ყველა პირს მოემსახურება.**

ონის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელებისთვის, ავტორიტეტული არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაციის – **ფონდი Fair Trees და საერთაშორისო ორგანიზაციის – „გადავარჩინოთ ბავშვები“ მიერ ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი**

**41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო**

**თემაზე: „დისტანციური სწავლება და ბავშვის ადრეული განათლება“.** ტრენინგს ესწრებოდა ყველა აღმზრდელი, ასევე ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის მეთოდისტი, სპეციალური პედაგოგი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი, მუსიკის მასწავლებელი.

**მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ყველა ასაკობრივ ჯგუფს საჩუქრად პლანშეტები გადაეცა.**

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია/გაზიფიცირების არაერთი პროექტი. მათ შორის:**

**2014-2015 წლებში** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღს, გარემონტდა შენობა და შეიღობა ბაგა-ბაღის ეზო, რაზეც სულ 126,2 ათასი ლარი დაიხარჯა; **2015 წელს** განხორციელდა ქ ონში, ბაგა-ბაღის შენობის შეკეთების სამუშაოები (2,9 ათასი ლარი), მოეწყო გარე კანალიზაციის სისტემა. **2016 წელს** სოფელ გლოლაში საბავშვო ბაღის მშენებლობის პირველ ეტაპზე 48,6 ათასი ლარი დაიხარჯა, მეორე ეტაპის სამუშაოებს კი, 2017 წელს, 49,9 ათასი ლარი მოხმარდა. **2018 წელს** სოფელ გლოლაში ერთჯგუფიანი საბავშვო ბაღი გაიხსნა. **2019 წელს** სოფელ პიპილეთში სასკოლო მზაობის ჯგუფი გაიხსნა. 20% -ით გაიზარდა საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება. 2020 წელს დაიწყო და **მიმდინარეობს** ქ. ონის №1 ბაგა-ბაღის შენობისა და ეზოს სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები (699,9 ათასი ლარი). ბავშვთა კონტინგენტის სიმცირის გამო, ამ ეტაპზე, გადაიდო სოფელ ღებში საბავშვო ბაღისათვის შენობის რეაბილიტაცია.

**შესრულებული სამუშაობის შედეგად, 2021 წელს, საბავშვო ბაღებში მუნიციპალიტეტში მცხოვრები 150 აღსაზრდელი დადის.** საბავშვო ბაღში **კვების ყოველდღიური თანხა,** თითოეულ აღსაზრდელზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა და 3 ლარი გახდა. ამით გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების **კვების რაციონი.**

**სასკოლო მზაობის პროგრამა** გაიარეს ქ. ონის, სოფელ გლოლისა და პიპილეთის საბავშვო ბაღების 5-6 წლიანთა ასაკის ბავშვებმა (სულ 47, მათ შორის 3 – ალტერნატიულ ცენტრის აღსაზრდელი). დღეისათვის გახსნილია სოფლების – ღების, უწერის და პიპილეთის სასკოლო მზაობის ჯგუფები ორ-ორ ბავშვზე. 9-საათიან სამუშაო დღის რეჟიმზე გადავიდა სოფელ გლოლის საბავშვო ბაღი.

**საბავშვო ბაღში დასაქმებულია** 15 აღმზრდელი, აქედან, სასკოლო მზაობის პროგრამას ახორციელებს 4 აღმზრდელი. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღს ემსახურება ექთანი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი და სპეციალური პედაგოგი. საბავშვო ბაღებში დასაქმებულ **აღმზრდელთა ხელფასები, 2012 წლის 265 ლარიდან, 800 ლარამდე გაიზარდა.**

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 9 საჯარო სკოლა, აქედან ქალაქში – 1, სოფლად – 8; სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა არის 539, ხოლო მასწავლებლების – 177.** მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 13 სსსმ მოსწავლე. ერთ საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 2 მანდატური იცავს. ონის ოთხ საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგ-პროგრამები, მათ შორის:** პროგრამით **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“,** საზაფხულო სკოლებში, 2013– 2019 წლებში, ონის მუნიციპალიტეტიდან 92 მოსწავლე იყო ჩართული. 2017-2019 წლებში, **„სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის“** პროგრამით საჯარო სკოლებში 6 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე დაფინანსდა, ფინანსურად ხელი 11 სასკოლო აქტივობის განხორცელებას შეეწყო. ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით, **„ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში, 2019 წელს, სსიპ სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლას – 26 ლეპტოპი გადაეცა. **საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით**, 2018 წელს, ქ. ონის საჯარო სკოლას 10 კომპიუტერი გადაეცა. 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,** ჯამში, საჯარო სკოლების 715 მოსწავლე მონაწილეობდა. 2018-2019 წლებში, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** საჯარო სკოლების უზრუნველყოფის 20 პროექტი განხორციელდა. **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით/ლოკალური უსადენო ქსელით** 1 სკოლა აღიჭურვა. 2016-2020 წლებში, ონში, საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 6 პროექტი განხორციელდა. „ახალი სკოლის“ მოდელი“ **2021** წლისთვის დანარგილია 6 საჯარო სკოლაში. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით, ონის 6 საჯარო სკოლის (18) მიმართულება) 106 მოსწავლეა ჩართული. **2017-2020 წლებში,** საჯარო სკოლებს, ჯამში, 270 **სასკოლო ჟურნალი და** 12401 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“,** 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს საჩუქრად 289 კომპიუტერი გადაეცათ, კლასის დამრიგებლებს 39, ლეპტოპებით დასაჩუქრდა წარჩინებული 77 მოსწავლე. იმავე პერიოდში, ონის საჯარო სკოლებში, ჯამში, 48 **ოქროს და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. 2017-2020 წელს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში **პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით** 5 პროექტი განხორციელდა. 2018 წელს სკოლების ბიბლიოთეკები შეივსო ახალი სახელმძღვანელოებით და 2019-2021 წლის ჩათვლით, მუნიციპალიტეტს ყველა მოსწავლისთვის გადაეცა I-VI, VII, VIII კლასების ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების** მიზნობრივი პროგრამებით, კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

**სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2014-2021 წლებში,** ონის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 20 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 9 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია მუნიციპალიტეტის 2 საჯარო სკოლა. ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში (MCC-ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია) მუნიციპალიტეტის 1 – სიმონ სხირტლაძის სახელობის ქ. ონის საჯარო სკოლაა ჩართული.

**2014 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 საჯარო სკოლას (ღების, ჭიორის, ღარის, შეუბნის, პიპილეთის, სორის, გლოლისა და უწერის საჯარო სკოლები), ს. სხირტლაძის სახელობის ქ. ონის საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი, რაზეც სულ 505,7 ათასი ლარი დაიხარჯა; **2015 წელს** განხორციელდა გლოლის საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ღარისა და ღების საჯარო სკოლების სამედიცინო ოთახების მოწყობა და ღარის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (სულ 66,1 ათასი ლარი); **2016 წელს** განხორციელდა პიპილეთის საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა და ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რაც 252,6 ათასი ლარით დაფინანსდა. **2017 წელს** განხორციელდა სიმონ სხირტლაძის სახელობის ქ. ონის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია (MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსება, 153,8 ათასი ლარი); ქ. ონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის რეაბილიტაციაზე 2,8 ათასი ლარი დაიხარჯა. **დაფინანსდა:** სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლაში სამედიცინო ოთახის მოწყობა – 2,7 ათასი ლარი; სიმონ სხირტლაძის სახელობის ქ. ონის საჯარო სკოლის ელექტროენერგიის სიმძლავრის გაზრდა (6,6 ათასი ლარი), აღჭურვა (დიზელ-გენერატორის შეძენა (13,9 ათასი ლარი).

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2019 წელს –** განხორციელდა სოფ. ღების საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზეც, 254,5 ათასი ლარი დაიხარჯა. **დაფინანსდა:** სოფელ სორის, შეუბნისა და სოფელ ჭიორის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (13 ათასი ლარი); სოფელ სორის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა (47,8 ათასი ლარი); სოფელ შეუბნის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა (96,2 ათასი ლარი). **2020 წელს –** განხორციელდა საჯარო სკოლებში ელექტროგაყვანილობისა და სველი წერტილების რეაბილიტაციის 4 პროექტი, რაზეც, საერთო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 311,7 ათასი ლარი დაიხარჯა. რეაბილიტაცია ჩატარდა სოფელ ჭიორის, ღარის, შეუბნისა და პიპილეთის საჯარო სკოლებში.

## უმაღლესი განათლება

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სოციალური პროგრამით,** 2013-2016 წლებში, ონის მუნიციპალიტეტიდან დაფინანსება მოიპოვა 40-მა სტუდენტმა, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (67,4 ათასი ლარი).

2017-2018 სასწავლო წელს დაფინანსდა 11 სტუდენტი. 2018 წლიდან, სოციალური პროგრამის ფარგლებში, **დაფინანსება მოიცავს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონს მთლიანად (ამბროლაურის, ლენტეხის, ობისა და ცაგერის მუნიციპალიტეტები)** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლის სკოლის კურსდამთავრებულთა დაფინანსებას. 2018-2019 სასწავლო წელს, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონიდან დაფინანსდა 15 სტუდენტი, 2019-2020 სასწავლო წელს – 15 სტუდენტი. 2020-2021 სასწავლო წელს – 15 სტუდენტი.

### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება და ყველასთვის ხელმისაწვდომი სასკოლო მზაობის ეფექტიანი პროგრამების განხორციელება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: განხორციელდება ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის (აღმაშენებლის ქუჩა №64) რეაბილიტაცია და ყოფილი №2 ბაგა-ბაღის (მაისურაძის ქუჩა №4) )სრული რებილიტაცია;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, განხორციელდება ონში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის, 2022 წელს, დაგეგმილია სოფელ სორის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 116,6 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, განხორციელდება: სოფელ გლოლის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 35 ათასი ლარი; სოფელ ღარის საჯარო სკოლაში იატაკების რეაბილიტაცია;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**ონში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული კულტურის შემდეგი დაწესებულებები:** ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი.

**მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება.** მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში დაინერგა კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული მუნიციპალური პროექტების შემუშავება (2017 წელს მუნიციპალურ პროექტებში დაიხარჯა – 29,7 ათასი ლარი, 2018 წელს – 31 ათასი ლარი, 2019 წელს – 42,2 ათასი ლარი, 2020 წელს, Covid-19 პანდემიის გამო – 2,6 ათასი ლარი). მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი მუშაობის განმსაზღვრელია ღონისძიებების დაფინანსების ყოველწლიური ზრდა ა(ა)იპ ორგანიზაციებში (2017 წელი – 17,1 ათასი ლარი, 2018 წელი – 48,7 ათასი ლარი, 2019 წელი – 63, 3 ათასი ლარი, 2020 წელი – 15, 4 ათასი ლარი (პანდემიის გამო), 2021 წელი – 8, 8 ათასი ლარი).

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 341,4 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 266.8 ათასი ლარი იყო.

**2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში:** მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართებოდა შეხვედრები კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროს გამოჩენილ წარმომადგენლებთან; ტარდებოდა ლიტერატურულ/თემატური საღამოები; ეწყობოდა გამოფენები; მედიაპროექტი „ეტალონი“, იმართებოდა კონცერტები და სპექტაკლები, ტარდებოდა ლექცია-სემინარები და სხვ.

მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ინსტიტუციების ეფექტიან და შედეგებზე ორიენტირებულ საქმიანობას საფუძვლად უდევს კანონი კულტურის, ბიბლიოთეკის, მუზეუმების შესახებ, ასევე მთავრობის დადგენილებები სპორტისა და ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. სწორი მუნიციპალური მართვის შედეგია ის, რომ სისტემატურად აღინიშნება საერო და კულტურული ღონისძიებები. მაღალ დონეზე ტარდება **ტრადიციადქცეული „ონელობა“,** სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ადამიანებს აქვთ სრული შესაძლებლობა, მოახდინონ თავიანთი ნიჭის რეალიზება. ისინი, უცხოელ მეგობრებთან ერთად, მონაწილეობენ **ავთენტიკური ფოლკლორის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში – „უნისონი“.**

**ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლას დაემატა სპეციალობები: ანიმაცია, ქვილთი-ქსოვა, გობელენი.**

სახელოვნებო განათლების განვითარებას ემსახურებოდა პროექტი **„კულტურათა გაცვლა“.** 2019 წლის ივნისში, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლაში, ავსტრიის ქალაქ ზალცბურგიდან მოწვეულმა ავსტრიელმა მხატვარმა მუნიციპალიტეტის ბავშვებისთვის ჩაატარა მასტერკლასები და ვორქშოპები. სახელოვნებო სკოლები აქტიურად მონაწილეობენ მუნიციპალურ, რეგიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში.

ონის მუზეუმის სამეცნიერო-საკვლევაძიებო მუშაობისთვის ხელშემწყობი ფაქტორი გახდება **ახალი თანამედროვე მშენებარე მუზეუმი.**

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ემსახურება **ბიბლიოთეკა 62 000 ცალი წიგნადი ფონდით,** რომელიც განთავსებულია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკასა და სოფლის 16 სხვადასხვა ბიბლიოთეკაში.

სოფელ უწერაში, 250 წლის სახლს მიენიჭა **უძრავი მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.**

ქ. ონში, 2020 წელს გაიხსნა **ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალი** და ქართველი შინდლერის **სერგი მეტრეველის მემორიალური დაფა.**

**2018-2019 წლებში** ქ. ონში ჩატარდა კომპოზიტორების – ვაჟა აზარაშვილისა და ვაჟა დურგლიშვილის კონცერტები, განხორციელდა ორი ერთობლივი პროექტი კულტურის სფეროში – „კულტურათა გაცვლა", ავთენტიკური ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი – უნისონი", საქართველოში ავსტრიის რესპუბლიკის საელჩოსა და ავსტრიის კულტურის ცენტრთან ერთად და სხვ.

**2019 წელს** ონის ბიბლიოთეკაში გაიმართა პოეტ შოთა ტოგონიძის საიუბილეო საღამო, ჯორჯ გორდონ ბაირონის დღისადმი მიძღვნილი საღამო, დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი თემატური საღამო -„შენ ხარ მოძღვარი მოძღვართა შორის“; ლიტერატურული საღამო – „რაჭავ, შენ რომ არ მყავდე" (პოეტ ბადრი სულაძესთან შეხვედრა), თემატური საღამო – „აჩუქე წიგნი“ და სხვ. **2020 წელს** ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა მრავალშვილიან დედებთან – „მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა“, აღინიშნა საბიბლიოთეკო კვირეული, „ევროპის მემკვიდრეობის დღეები“ ალექსანდრე სტოიანოვის ცხოვრება და შემოქმედება და სხვ.

2020 წელს, **ქორეოგრაფიული წრის** აღსაზრდელთა ანსამბლი „ორბა“ გასტროლით იმყოფებოდა ბაკურიანში, ფესტივალზე – „ზამთრის ფანტაზია"; ფოლკლორული ანსამბლი „რაჭა" იმყოფებოდა საგურამოში გამართულ ფესტივალზე – „ილიაობა 2020“ და სხვ.

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ჩართულობით არაერთი ღონისძიება გაიმართა. მათ შორის: 2017 წელს** ონის მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს თანამშრომლებისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ხალხური რეწვის ასოციაციის“ წევრებისთვის, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, გაიმართა სამუშაო-საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები და სემინარები – საქართველოში იუნესკოს 2003 წლის კონვენციის „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით; განხორციელდა – ა(ა)იპ „სეკატორის“ პროექტი – „შოვი – მეხსიერება“. **2020 წელს**: განხორციელდა პროექტი – „ჯადოსნური მთა/შოვი“ (ფესტივალი როკვა); ჩატარდა მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლი რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში; ასევე. გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ცენტრისა და ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთობლივი პროექტით, გამოიცა ხელოვნებათმცოდნე მარიამ გაბაშვილის ალბომ-კატალოგი – „ლითონმქანდაკებლობის ისტორიისათვის წინაქრისტიანულ საქართველოში (ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგანძურის კვალდაკვალ“); მუზეუმების დღესთან დაკავშირებით გაიმართა აქცია – „ღამე მუზეუმში“, რომლის ფარგლებშიც ონლაინრეჟიმში ნაჩვენები იქნა ახალგაზრდა ხელოვანის, ალექსანდრე ქუმბურიძის მიერ გადაღებული ფილმები: „ონის ებრაელთა სინაგოგა“, „მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია“ და „დიდი რაჭული ოჯახი“; მოეწყო არქეოლოგიური, პალეონტოლოგიური, ეთნოგრაფიული ექსპედიციები რაჭის სხვადასხვა სოფელში, ფონდების შევსების მიზნით შესყიდულ იქნა ხის ხუროობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სადურგლო იარაღები და სხვ.

2019 წელს, სამინისტროს ხელშეწყობით, **მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობის** მიზნით, ონის მუნიციპალიტეტში ჩატარდა კამერული მუსიკის კონცერტები სახელწიფო კამერული ორკესტრის მონაწილეობით.

**2013-2020 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის: 2013 წელს** საჯანისკარის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 19,9 ათასი ლარი დაიხარჯა; ქ. ონში, გაბრიელ მთავარაგელოზის ეკლესიის სატრაპეზოს სარემონტო სამუშაოს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5,1 ათასი ლარი მოხმარდა; ქ. ონში, გიგა ჯაფარიძის სკვერში, კულტურის სახლის შიდაინტერიერის (სცენის დიზაინი) მოწყობაზე 317,7 ათასი ლარი დაიხარჯა. **2014 წელს** ქ. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ოთახების სარემონტო სამუშაოებს 4 ათასი ლარი მოხმარდა; სოფ. ლაჩთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სატრაპეზოს სარემონტო სამუშაობზე 17,8 ათასი ლარი დაიხარჯა. **2015 წელს** განხორციელდა სოფ. ჭიორაში კლუბის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები (19,1 ათასი ლარი); ქ. ონში გაბრიელ მთავარანგელოზის ტაძრის ტერიტორიაზე სამრეკლოს მშენებლობაზე 26,3 ათასი ლარი დაიხარჯა. **2015-2016 წლებში** ქ. ონში სახელოვნებო სკოლის (მედიათეკა) მშენებლობა (150 ათასი ლარი). **2016 წელს** განხორციელდა სოფ. ქვედის კლუბის რეაბილიტაცია (15,2 ათასი ლარი); სოფ. შქმერში ეკლესიის რემონტზე 26,5 ათასი ლარი დაიხარჯა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით შეკეთდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ღობე (1,6 ათასი ლარი). **2017 წელს** შეიცვალა ონის კულტურის ცენტრის დარბაზისა და ფოიეს იატაკი (23,6 ათასი ლარი). **2016-2017 წლებში** განხორციელდა ქ. ონში გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში სამრეკლოს მშენებლობა (80 ათასი ლარი). **2016-2018 წლებში** განხორციელდა სოფელ შქმერში წმ. ელისე წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია (100 ათასი ლარი). **2019-2020 წლებში** ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები (4,9 ათასი ლარი). **2020-2021 წლებში,** ა(ა)იპ ონის მუნიციპალ;იტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის შენობის გათბობა-კონდიცირება-ვენტილაციის სისტემის მოწყობაზე 62,8 ათასი ლარი დაიხარჯა. ასევე, სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობაზე, საქვაბე



და გათბობის ქსელის სამონტაჟო სამუშაოებზე, ჯამში, 101,9 ათასი ლარი დაიხარჯა.

2019 წელს დაიწყო და ამჟამად **მიმდინარეობს** მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობა ქ. ონში – პროექტის ღირებულება 5 მლნ 522, 2 ათასი ლარია (მუნიციპალური განვითარების ფონდი). ასევე, მიმდინარეობს დუროიანი (სათოფურიანი) სახლების რეაბილიტაცია სოფელ ღებში (საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი).

ონის მუნიციპალიტეტზე გადის ევროპის საბჭოს **„ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი“,** რომელიც, თავის მხრივ, მუნიციპალიტეტში კულტურული ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს.

2019 წელს, კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ **„თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარება თბილისსა და რეგიონებში“** კონკურსის საფუძველზე, დაფინანსდა პროექტი – **„ლანდშაფტი, დრო, მეხსიერება“** (17,9 ათასი ლარი.)

2019 წელს, კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ კონკურსის – „ფესტივალების ხელშეწყობა“ საფუძველზე, დაფინანსდა პროექტი **– „ჯადოსნური მთა შოვი“** (10 ათასი ლარი).

2020 წელს, კულტურის ხელშეწყობის პროგრამით, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ, „თანამედროვე ხელოვნების ფესტივალების“ კონკურსის საფუძველზე, დაფინანსდა თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი – **„არტრა – 2020“** (10 ათასი ლარი).

## სპორტი

**ონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი.**

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს **სპორტის** სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 108 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 91,5 ათასი ლარი იყო.

**მუნიციპალიტეტში სპორტის მაღალი მიღწევების მქონე სახეობებია:** თავისუფალი, ბერძნულ/რომაული და ქართული ჭიდაობა. ონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ მუნიციპალურ, რეგიონულ, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებში და საუკეთესო შედეგებს აღწევენ. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსში გაიზარდა ბავშვთა კონტინგენტი (2017 წელი: 98 სპორტსმენი და 10 მწვრთნელი, 2021 წელი – 141 სპორტსმენი და 11 მწვრთნელი).

სპორტის ინსტიტუციური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია კეთილმოწყობილი სპორტული კომპლექსი, სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონი, 19 ხელოვნურ და ბუნებრივსაფარიანი მინისტადიონი.

სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, **სოფელ ღებში** გახსნილია თავისუფალი ჭიდაობის წრე, ახალგაზრდები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სპორტულ ღონისძიებებში: ევროპის სპორტის კვირეული, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, სპორტის საერთაშორისო დღე და სხვ.

2021 წლის აპრილში მუნიციპალიტეტმა ფულადი პრემიით დააჯილდოვა 9 წარმატებული სპორტსმენი თანხით – 2800 ლარი, სასწავლო-საწვრთვნელ შეკრებაში ჩართულია 8 სპორტსმენი.

2019 წელს, მერიის ინიციატივით, ხორციელდებოდა სოფელ გლოლის საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება და შესაბამისად ჩართულობა სხვადასხვა სპორტულ წრეში.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდაჩემპიონატები ჩაატარეს, სამინისტრომ ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენაც დააფინანსა, ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. მათ შორის, 2014-2016 წლებში ჩატარდა დ. გობეჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირები ჭიდაობაში (სულ, ამ ტურნირების ღირებულებაა 14,5 ათასი ლარი). სამინისტრომ მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (ღირებულება -2,1 ათასი ლარი).

**აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები:** 2020 წელი – კ. დუდაევის სახელობის საერთაშორისო ტურნირი – 1 პრიზიორი 1: საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის თ/ჭიდაობაში – 1 პრიზიორი; საქართველოს პირველობა უმცროს ასაკში თავისუფალ ჭიდაობაში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში – 3 პრიზიორი.

**2014-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. მათ შორის: 2014 წელს** ქ. ონში, ბეერ-შევას სახელობის პარკში არსებული სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაციაზე 3,1 ათასი ლარი დაიხარჯა. **2015 წელს** ქ. ონში, სლავა მეტრეველის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე განხორციელდა სველი წერტილების სარემონტო სამუშაოები. **2017-2018 წლებში** ქ. ონში, სპორტული კომპლექსის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოებზე, რეგიონული განვითარების ფონდიდან, 740 ათასი ლარი დაიხარჯა; ქ. ონის სტადიონის რეაბილიტაციას 13,2 ათასი ლარი მოხმარდა; ქ. ონში დამონტაჟდა გარე სავარჯიშო მოწყობილობა, რისთვისაც 20,3 ათასი ლარი დაიხარჯა. **2019 წელს** ქ. ონსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში მინი სპორტული მოედნების მშენებლობას 234 ათასი ლარი მოხმარდა. ახალი მინიმოედნები აშენდა: ქ. ონში, ვახტანგ VI ქუჩა №119, სოფლებში: ჯინჭვისი, ზუდალი, ბოყვა, ქვედრულა. **2019-2020 წლებში,** მინი სპორტული მოედნები მოეწყო მუნიციპალიტეტის სოფლებში: ქვედი (14 ათასი ლარი), ხირხონისი (12 ათასი ლარი), ქვედრულა (10 ათასი ლარი), ირი (15 ათასი ლარი), ზუდალი (10 ათასი ლარი). **2017-2019 წლებში,** ქ. ონში, გარე სავარჯიშო მოწყობილობების დადგმაზე, 41 ათასი ლარი დაიხარჯა. **2019 წელს** დასრულდა ქ. ონში (ვახტანგ VI-ის ქუჩაზე) სპორტული მოედნის მოწყობა – 87,1 ათასი ლარი. **2020 წელს, გამყოფი ხაზის მიმდებარედ,** აშენდა სოფელ ქვედის ბუნებრივსაფარიანი მოედანი.

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამის“** ფარგლებში, მუნიციპალიტეტში დასაქმებული **11 მწვრთნელი იღებს ფულად დანამატს.** ეს პროგრამა ხელს უწყობს ადგილზე მწვრთნელების დამაგრებას და სხვა პირების მაღალმთიან რეგიონში მწვრთნელად მუშაობის მოტივაციის გაზრდას.

**2018-2020 წლებში,** სამინისტროს ჩართულობით, მუნიციპალიტეტში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული; აღინიშნა საერთაშორისო დღე – **„სპორტი მშვიდობისა და განვითარებისათვის“.**

ქ. ონში, ბეერ-შევას სახელობის პარკის ტერიტორიაზე, განხორციელდა ამორტიზებული, ყოფილი საჭიდაო დარბაზის ნაცვლად, ახალი სპეციალიზებული საჭიდაო დარბაზი მშენებლობა.

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ქ. ონში შექმნილია ახალგაზრდული საკრებულო, ასევე, რაჭის ახალგაზრდული ასამბლეა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ თვითმმართველობის საქმიანობაში.**

2021 წელს მუნიციპალიტეტიდან სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ შეირჩა 3 ახალგაზრდა, რომლებიც მობილურ ახალგაზრდულ მუშაკებად გადამზადდებიან და პასუხისმგებლები იქნებიან ადგილობრივი ახალგაზრდული სერვისების დაგეგმვა-განვითარებაზე.



ქ. ონში, მოედნის ქუჩაზე მდებარე სკვერში სპორტული ტრენაჟორები მოეწყო

ყოველწლიურად ტარდება ევროპის სპორტის კვირეული, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე (2019 წლამდე), აღინიშნება სპორტის საერთაშორისო დღე, სადაც მაქსიმალურად არის ჩართული მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობა.

**ახალგაზრდული მიმართულებებით სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** „რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში ლაშქრობების მოწყობა მთლიანად რეგიონის მასშტაბით (3-3 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან); „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (რეგიონის მასშტაბით 2-2 მონაწილე თითოეული მუნიციპალიტეტიდან); „მოსწავლე-ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამა" (საინფორმაციო შეხვედრა, ტრენინგი დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებთან, აბიტურიენტებთან, 50 მონაწილე); ინკლუზიური კონცერტი (40 მონაწილე); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

**2020 წელს ჩატარდა ონში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროების კვლევა,** გადამზადდა ონის მერიის ახალგაზრდულ სამსახურში მომუშავე 2 თანამშრომელი, იანვარში სტრასბურგში მიმდინარე საერთაშორისო სემინარზე ონის ახალგაზრდული სამსახურისა და ონში მომუშავე ახალგაზრდული ორგანიზაციის თითო-თითო წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

2021 წელს ონის მუნიციპალიტეტში გაიხსნა ახალგაზრდული სივრცე, რომელიც საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით აღიჭურვა. ონიდან მობილური ახალგაზრდული მუშაკის გადასამზადებელ კურსზე შეირჩა 4 ადამიანი.

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ონის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2021 წელს დასრულდება მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობა ქ. ონში – პროექტის ღირებულება – 5 მლნ 522, 2 ათასი ლარი. სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს;
- 2022-2023 წლებში დაგეგმილია ახალი ბიბლიოთეკის მშენებლობა ქ. ონში – 1 მლნ ლარი;
- განხორციელდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის და უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის კაპიტალური შეკეთება (500 ათასი ლარი);
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი სახეობების დანერგვა-განვითარება;
- მიმდინარეობს სოფელ ირის ბუნებრივსაფარიანი მოედნის მშენებლობა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- შეიქმნება და დაინერგება ონის ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები;
- ონში ჩატარდება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ახალგაზრდული ფორუმი;
- 2021-2023 წლებში იგეგმება ქ. ონში მდინარე რიონისა და ჯეჯორის შესართავთან (ნაგუთების ტერიტორია) ღია სპორტული მოედნის (ფეხბურთი, კალათბურთი) მშენებლობა – 300 ათასი ლარი;
- 2023 წელს ქ. ონში იგეგმება დახურული სპორტულ-გამაჯანსაღებელი საცურაო აუზის მშენებლობა – 2 მლნ ლარი;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობას და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41




# ჩემო ძვირფასებო!

პირველ ყოვლისა, მსურს, მადლობა გადაგიხადოთ იმ სიყვარულისა და ერთგულებისთვის, რომელსაც ჩვენი მხარისა და კუთხის მიმართ იჩენთ.

გპირდებით, რომ ჩემი მხარდაჭერის შემთხვევაში, ონის მუნიციპალიტეტის თითოეულ მოსახლესთან ყოველდღიურ კომუნიკაციაში ვიქნები და თქვენთან ერთად, ახალი იდეებითა და პროექტებით, კიდევ უფრო გავამდიდრებ ჩვენს კუთხეს.

მოგეხსენებათ, 2021 წლის 1 ივნისიდან ონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის თანამდებობას ვიკავებდი და დროის ამ მოკლე მონაკვეთის მიუხედავად, დღეს უკვე თამამად შემიძლია ვთქვა ზუსტად ვიცი და გათავისებული მაქვს ყველა ის პრობლემა თუ გამოწვევა, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში, უბნებსა თუ თითოეულ დასახლებულ პუნქტში მცხოვრები მოქალაქეების წინაშე დგას.

გპირდებით, საჯარო სამსახურში და სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობისას დაგროვილ გამოცდილებას მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა კეთილდღეობას მოვახმარ.

თვითმმართველობის მოახლოებულ არჩევნებზე თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს, მწამს, სწორ არჩევანს გააკეთებთ.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

**„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:**



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.